



დამტკიცებულია: საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ.
09.01.2020წ. ქ.თბილისი

შეთანხმებულია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს სპორტის დეპარტამენტთან

საქართველოს პირველობა და ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში

სპორტულ-კონტაქტური წესებით მოასპარეზე სპორტსმენთა შორის

15 თებერვალი 2020წ. სპორტკომპლექსი “ძიუდოს აკადემია”

საქართველოს პირველობა ტარდება ბავშვთა და მოზარდთა, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, ხოლო ეროვნული ჩემპიონატი +18 წლის და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის, კუმიტესა (ორთაბრძოლა) და კატაში (ფარჯიშის ფორმა).

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. შეჯიბრის მიზანი

- 1.1. კონტაქტური კარატეს პოპულარიზაცია;
- 1.2. საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების დაკომპლექტება;
- 1.3 პერსპექტიული სპორტსმენების წარმოჩენა;
- 1.4 სპორტული ოსტატობის ღონის ამაღლება;
- 1.5 მებრძოლებს, სპორტულ კლუბებსა და კარატეს ფედერაციებს შორის მეგობრობის და ურთიერთობაშორმლობის გაღრმავება.

2. შეჯიბრის განრიგი

2.1. 14.02.2020წ. - 15:00-18:00სთ.-სამანდატო კომისია და სპორტსმენთა აწონვა; (მისამართი: ქ.თბილისი, დიდმის მასივი, ბელიაშვილის ქ.№5, ”ძიუდოს აკადემია”)
18:00 – 20:00სთ.-კენჭისყრა და მსაჯთა სემინარი;

2.2. 15.02.2020წ. - 09:00სთ. – საორგანიზაციო კომიტეტისა და მსაჯების გამოცხადება;
09:30სთ. – შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა გამოცხადება;
10:00სთ. – შეჯიბრის დასაწყისი (კატა და კუმიტე) 3 ტატამზე;
16:00სთ. – ფინალური ორთაბრძოლები;

18:00სთ. – გამარჯვებულთა დაჯილდოება;

3. სამანდატო კომისია

- 3.1. გუნდის უფროსი სამანდატო კომისიას წარუდგენს **განაცხადს**, მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, სამედიცინო ცნობას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ სპორტსმენი დაშვებულია ტურნირზე კონტაქტურ კარატეში.
- 3.2. განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის **08.02.2020**.
- 3.3. აუცილებელია სპორტსმენებს თან ჰქონდეთ: სუფთა კარატე-გი; დამცავი ნიუარა; ქალ სპორტსმენებს დამატებით – მკერდის დამცავი (თეთრი ფერის, თეთრი მაისურის შიგნით ჩატმული); ახალგაზრდებს თეთრი ფერის წვიგსაცავები; ბავშვებს დამატებით თეთრი ფერის ხელთათმანები.თავის დამცავი ჩაფეუტი უზრუნველყოფილი იქნება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.
- 3.4. სპორტსმენები, რომლებიც არ გაივლიან სამანდატო კომისიას, ჩემპიონატზე არ დაიშვებიან.

4. მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფები და წონითი კატეგორიები

ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდება ევროპის კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის (EKO/WKO) მიერ შემუშავებული საშეჯიბრო წესების-რეგულაციების მიხედვით.

- 4.1. ჩემპიონატი ჩატარდება კატასა და კუმიტეში თლიმპიური სისტემით:
- 4.2. ასაკობრივი ჯგუფების წონითი კატეგორიები ვაჟთა შორის:

- | | | | | |
|------------|--------|--------|--------|--------|
| 10-11წ.წ.: | -30კგ; | -35კგ; | -40კგ; | +40კგ. |
| 12-13წ.წ.: | -35კგ; | -40კგ; | -45კგ; | +45კგ. |
| 14-15წ.წ.: | -55კგ; | -60კგ; | -65კგ; | +65კგ. |
| 16-17წ.წ.: | -60კგ; | -65კგ; | -70კგ; | +70კგ. |
| +18წ.: | -65კგ; | -75კგ; | -85კგ; | +85კგ. |

- 4.3. შეჯიბრში მონაწილე გოგონათა წონითი კატეგორიები გამოვლინდება აწონვისა და სამანდატო კომისიის შემდეგ.

- 4.4. სამანდატო კომისია **უფლებას იტოვებს** საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესწორება წონით კატეგორიებში.

4.5. ბრძოლების ხანგრძლივობა:

შესარჩევი ბრძოლები:

- | | |
|-------------|---|
| 10-11 წელი: | 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 12-13 წელი: | 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 14-15 წელი: | 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 16-17 წელი: | 2 წთ + 2 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| +18 წელი: | 3წთ+2 წთ+ აწონვა (5 კგ განსხვავება/ ქალები - 4) + 2 წთ; (აბსოლუტური – 10 კგ/8 კგ) |

ფინალური ორთაბრძოლები:

- | | |
|-------------|---|
| 10-11 წელი: | 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (1.5 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 12-13 წელი: | 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 14-15 წელი: | 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ; |
| 16-17 წელი: | 2 წთ + 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ. |
| +18 წელი: | 3წთ + 2წთ + 2წთ + აწონვა (5 კგ განსხვავება/4 კგ – ქ) + 2წთ. (აბსოლუტური 10 კგ/8 კგ) |

4.6. კატაში ჩემპიონატი ჩატარდება კიოკუშინკაი კარატეს საერთაშორისო წესებით ორ ტურად და მონაწილეები დაიყოფიან ორ ჯგუფად:

10-15 წელი

აუცილებელი პროგრამა: (I-V) პინანი.
თავისუფალი პროგრამა: გექსაიშო, გექსაიდაი, იანცუ, საიპა, ცუკინო – ამორჩევით.

და 16 - (+18) წელი:

აუცილებელი პროგრამა: გექსაიშო, გექსაიდაი, იანცუ, საიპა, ცუკინო
თავისუფალი პროგრამა: სეიჩინ, გარიუ, სეიპაი, კანკუ, სუშიპო - ამორჩევით.

5. მსაჯობა

5.1. შეჯიბრს მოქმედისახურება კონტაქტურ კარატეში ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მიერ წინასწარ წარმოდგენილი, მსაჯთა ბრიგადა.

5.2. მსაჯთა უნიფორმა: ლურჯი პერანგი, მუქი შარვალი, თეთრი ბაბთა.

6. დაჯილდოება

6.1. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებითა და მედლებით.

6.2. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები საქართველოს სახელით მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს, ევროპისა და სხვა მაღალი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

7. ფინანსური ვალდებულებები

7.1. შეჯიბრში მონაწილეობა უფასოა (მონაწილეები არ იხდიან შესატან თანხას);

7.2. შეჯიბრზე მივლინების ხარჯებს იღებს თავად მონაწილე ორგანიზაციები;

7.3. შეჯიბრის საორგანიზაციო ხარჯებს იღებს საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედრაცია.

7.4. შეჯიბრების მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

8. საორგანიზაციო კომიტეტი

8.1. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი – გია გვენეტაძე

8.2. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე – ავთანდილ შენგელია

8.3. ჩემპიონატის მთავარი მდივანი – მარიამ ჩუბინიძე.

საორგანიზაციო კომიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია:

Email:anzor@kyokushin.ge; geoshinkyokushin@mail.ru; idolaberidze@mes.gov.ge

საკონტაქტო პირი: 591 44 41 41 მარიამ ჩუბინიძე